№ 73 აპრილი 5, ოთხშაბათი 1889 აპრილი 5 ოთხშაბათი № 73

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასავეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: [illegible] ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5 წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა3ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 4 აპრილი

ევროპაში თითქო მისწყდა პოლიტიკური შფოთი და ქიშპობა. წინანდებურად თამამად არ გაიძახიან ომიანობაზე და სახელმწიფონი ერთმანეთს საყვედურსა და მუქარას არ უთვლიან. ამ გვარმა ყოფამ ცოტად თუ ბევრად დაამშვიდა საზოგადოება, რომელსაც გული გაწყალებული ჰქონდა ომის მოლოდინით.

რასაკვირველია, ყველასათვის ცხადი იყო, რომ მყუდროება პოლიტიკისა დღეგრძელი არ არის, რადგანაც თავი და თავი საპოლიტიკო ანგარიში სახელმწიფოებისა გაუსწორებელი დარჩა. დღემდე ხელ-უხლებლად არსებობს იგივე სამთა კავშირი გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიისა და არც ერთს სახელმწიფოს თავი არ დაუნებებია ჯარებისა და თოფ-იარაღის მზადებისათვის. ამ განუწყვეტელმა მზადებამ ლამის არის წელში გასწყვიტოს ევროპის ერნი, მაგრამ ამისდა მიუხედავად ევროპის მეთაურნი თავს არ ანებებენ ერთხელვე არჩეულს გზასა და პოლიტიკას. თითქმის მთელი ევროპა დაიქსაქსა ეკონომიურად და თვით ერნი ცუდის თვალით უყურებენ მართებლობათა ქიშპობას. იმის დასამტკიცებლად, თუ რა ყოფაშია დღეს ევროპა, იტალიის მაგალითი მოვიხსენიოთ. ეს სახელმწიფო გვერდს უდგას გერმანიასა და ავსტრიას და ამიტომ არავითარს ხარჯს არა ჰზოგავს, ოღონდ მხედრობა განაძლიეროს და გაამრავლოს. სამხედრო ხარჯს თანდათან უმატებს, რის გამოც მთელს იტალიაში დრტვინვა და გოდება გაისმის და ამ დრტვინვასა და გოდებას რომ თავისი საბუთი აქვს, ამას ამტკიცებს იტალიის სახელმწიფო წლიური ხარჯთ-აღრიცხვა, საიდგანაცა სჩანს, რომ ამ წლის დამლევს იტალიის ერს თავზე უნდა დააწვეს თვრამეტი მილიონი და ექვსასი ათასი გირვანქა სტერლინგი დეფიციტი. ამის მიზეზად ყველა იმას ასახელებს, რომ იტალია იმდენს ფულს ანდომებს ჯარსა და თოფ-იარაღს, რამდენის ატანაც სრულიად შეუძლებელია ერისათვის. იტალიის მართებლობაც ჰგრძნობს ამ გაჭირებულს ყოფას, ხოლო თავისას- კი არ იშლის.

საფიქრებელია, რომ იტალია თავისს გზას არ შესცვლის და სამთა კავშირს არ გამოეცლება. იტალიის მართებლობას რომ ყურადღება ეთხოვებინა ერის დრტვინვისა და გაჭირებისათვის და განეზრახა სამთა კავშირს განზე გასდგომოდა, მაშინ უეჭველია ეს გარემოება სხვა მოკავშირეთა საქციელსაც დაეტყობოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, იტალიის მართებლობა დღესაც მტკიცედ ადგია თავისს გზას. ეს რომ ასეა, ამას ანდრაშის უკანასკნელი სიტყვა ამტკიცებს. ანდრაშის სხვათა შორის ისიც უთქვამს, რომ ავსტრიამ თავი უნდა მოუყაროს თავისს სამხედრო ძალ-ღონეს. მშვიდობიანობას, სადაც არის, ბოლო უნდა მოეღოსო და ამ დროისათვის ავსტრია შესაფერად უნდა მოემზადოსო. ანდრაში აგრეთვე ამბობდა, რომ გერმანიასთან კავშირი თანდათან უნდა განვამტკიცოთო.

ანდრაშის სიტყვიდამ აშკარადა სჩანს, რომ ავსტრიასა და გერმანიას სრულიადაც არა აქვთ განზრახვა ხელი აიღონ თავისს პოლიტიკაზე, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მთელს ევროპას.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** სამს ამ თთვისას, ორშაბათს საღამოს, ქალაქში ძლიერი ქარი ამოვარდა. ათი საათი იქნებოდა, როცა კოკი პირული წვიმა მოვიდა ნაშუაღამევის ორს საათზე წვიმაც შესწყდა. ამ ქარმა და წვიმამ შესამჩნევი ზარალი მისცა ქალაქს. ქარმა ქალაქის ბაღებში და ახლო-მახლო ადგილებში ხეები ძირიანად ამოგლიჯა და წვიმამ ბაღებში ახლად ამოსული ბალახი ჩარეცხა.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: არც ერთი ქუჩა არ არის ისე უყურადღებოდ მიგდებული, როგორც პირველი პარალელური ქუჩა აქ რაც უნდა უბედურობა დატრიალდეს, ყურს არავინ ათხოვებს. სამს ამ თთვისას, ღამით, ამ ქუჩაზედ გამოიარა ვიღაც საეჭვო ქალმა, დუქნის პირად პატარა დაგდებულ ხის ყუთს ფეხი ჰკრა, გადაისროლა დუქანში და მიამსხვრევინა რამდენიმე მინის შუშა. გამოვარდა გაბრაზებული მედუქნე, ეცა ქალს საცემად, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა. მორთო ქალმა წივილ-კივილი, ქუჩა ხალხით გაიტენა, მაგრამ პოლიციელი-კი არსადა სჩანდა. მედუქნე დააშოშმინეს, ჩაიყვანეს დუქანში, მაგრამ ქალი კიდევ არ მოეშვა, დაუწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა და ქუჩაში რომ ქვა ვერ იპოვა, გაიძრო უცბად ფეხსაცმელი და მოსდგა დუქნის შუშებს; ჩაამტვრია რამდენიმე შუშა კიდევ, რაშიაც სამაგიერო მიიღო მედუქნისაგან. ბოლოს როგორც იყო ხალხმა გააშორა ერთმანეთს ქალი და მედუქნე. ხალხი დაიშალა და პოლიციელი მაშინ გამოჩნდა. პოლიციელის იქ ყოფნის დროს ქალი კიდევ მოვარდა დუქნის წინ და მორთო ლანძღვა-გინება და დუქანშიაც შეიწია დანარჩენ შუშების დასამტვრევად. ამ ამბავს პოლიციელი გულგრილად უყურებდა და ქალს ალერსით ეხვეწებოდა, რომ მოშორდიო. ქალს უშველებელი ქვა ეჭირა ხელში და შუშებს უმიზნებდა დასამტვრევად, ესროლა ქვა, ჩაამტვრია კიდევ შუშა, შუშას თან გააყოლა რამდენიმე ბოთლი და ანთებულის ლამპის შუშაც. აქ-კი პოლიციელმა ქალს ხელი სტაცა, მაგრამ ისევე გაუშვა და სახლში გაისტუმრა.

*** 31 მარტს ახალ ათონის მონასტერში გარდაიცვალა ეპისკოპოსი სუხუმისა გენადი.

*** **ოზურგეთი:** ბ-ნ ივანე კაციტაძისაგან მივიღეთ 28 მან. და 15 კ. „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის" გადასაცემად და შემდეგი წერილი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 29 მარტს გავმართე სულის მოწერა ქ. ოზურგეთში და შევკრიბე სრულიად 28 მ. 50 კაპ. ამ ფულის გამოსაგზავნად დაიხარჯა 35 კ., დანარჩენს 28 მ. 15 კ. ვუგზავნი რედაქციას და გთხოვთ გადასცეთ „წერა-კითხვის საზოგადოებას.

ამასთანავე გიგზავნით შემომწირველთა სიას და გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთში. აი სახელი და გვარი შემომწირველთა: თავ. გ. დ. გურიელმა—5 მან., მღვდელმა ვასილ ცეტკოვმა—1, X. X.—5, ა. ს. ბეგზადოვმა—2, სპ. ბ. თოფურიამ—1, სტ. ი. ფავტიანოვმა—1, დ. მ. აბაშიძემ—1, ოქ. ი. ურუშაძემ—1, სერ. კ. შიშინაძემ—1, ფ. მგალობლიშვილმა—1, იაგ. ა. თაყაიშვილმა—1, მ. ა. მაჩავარიანმა—1, ლომკაცი აბაშიძემ—1, ივანე არონიშიძემ—50 კაპ., ი. გ. კაციტაძემ—6 მან.".

*** გაზეთ „მშაკს" პეტერბურგიდგან ატყობინებენ დეპეშით, რომ იქაურის უნივერსიტეტის პროფესორი სომხურის ენისა და ლიტერატურისა ქეროფე პატკანოვი ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა 2 ამ თთვისას.

*** იმავე გაზეთს სწერენ თელავიდგან, რომ იქ მეტად გაძლიერებულა ყმაწვილების ავადმყოფობა, რის გამოც სწავლა შეუწყვეტიათ და ყმაწვილები დაუთხოვნიათ.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ თელავში 25-ს მარტისას, დი-

## ფელეტონი

### საღამო

წერა-კითხვის საზოგადოებისა.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ 25 მარტს, ხარების დღესა, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გამართა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. ამ საღამოსა ჰქონდა ორი თავისებურობა: წმინდა ქართული ხასიათი და სიფართოვე პროგრამისა. ამ გვარი საღამოს სარგებლობას მარტო ფულის შემოსავალი არ შეადგენს, მას აღმზრდელი გავლენაც აქვს საზოგადოებაზედ. გვარიანი წაკითხვა პროზისა და ლექსებისა, რიგიანი სიმღერა ქართულის ხმებისა, ხელოვნური წარმოთქმა ხალხურის სცენებისა და სხვანი აღეიძებენ საზოგადოებაში მრავალ მხროვანს ინტერესსა. ამ მხრით სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს არა გასართობი არ შეედრება, არც ალეგრი, არც წარმოდგენა და არც კონცერტი. მაგრამ საქმე იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის საღამო, რა ხელოვნობით და რიგიანობით იქმნება შესრულებული იმისი პროგრამა. რა უნდა ვსთქვათ ამ მხრივ შაბათის საღამოზედ? საზოგადოდ არაფერს ვიტყვით და მხოლოდ ფაქტებს წარვუდგენთ მკითხველებსა, რასაკვირველია, კერძო მსჯელობის დამატებით.

საღამო დაიწყო ბ-ნ ბალანჩივაძის პოპურით... ორკესტრი შესდგებოდა სულ ექვს-შვიდ დამკვრელისაგან, მომცდარ ყანას მოგაგონებდა და, რასაკვირველია, პოპურს სრულად და შესაბამად ვერ დაუკრავდნენ. ეს პირველი ნაკლი იყო საღამოსი. გამგეობას ორში ერთი უნდა ექმნა, რომ აეცილებინა თავიდგან ეს ნაკლი: ან ფორკატი იძულებული გაეხადნა, რომ იმას მთელი ორკესტრი მიეცა საღამოსათვის, ანა არა-და საუკეთესო საზანდრები მოეწვიენა და ორკესტრი რიყეზედ დაენარჩუნებია, რაც შეეხება თვითონ პოპურის, რომელიც შესდგება მთლად ქართულის ხმებისაგან, იგი, ჩვენის აზრით, უტყუარი მოწამეა ავტორის ნიჭისა, თუმცა ამ ნიჭს ჯერ განვითარება ეჭირება. ესევე უნდა ვსთქვათ ბ-ნ ბალანჩივაძის სიმღერებზედაც. ხმა იმას აქვს თითქმის მდიდარი და მუსიკალური, მაგრამ ამ ხმას ჯერედ შემუშავება უნდა და სიმღერის ოსტატობის უფრო ღრმად შეთვისება. რა გამოვა ამ ნიჭიერის ახალგაზდა მუშაკისაგან, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზას დაადგება ბ ნი ბალანჩივაძე: თუ იგი ჰფიქრობს, რომ იგი უკვე ოსტატია და სწავლა მაგრე რიგად აღარ ეჭირვება, იგი მთელს თავის სიცოცხლეში დარჩება მოუმწიფებელი, განუფურჩქნელ ნიჭად (**неудачникъ**), რომელსაც ჩვენს საქართველოში ესრედ წოდებულს განათლებულ დასში ყოველ ნაბიჯზედ ვხედავთ. თუ, სამაგიეროდ, იგი იმ აზრისაა, რომ სწავლა ეჭირება და ერთგულად შეუდგება მუსიკის ცოდნას და ხმის შემუშავებას, მაშინ იმას მოელის სწორედ სახარბიელო მომავალი გამოჩენილის მომღერლისა და ადგილი ერთის ბრწყინვალე ვარსკვლავისა სამუსიკო ცაზედ. ამას ამბობენ თვით საუკეთესო მუსიკის სპეციალისტები და ჩვენი პირადი შთაბეჭდილებაც მასვე გვეუბნება. თუ მკითხველი ამასაც მიიღებს სახეში, რომ ბალანჩივაძეს სიმღერაში ოსტატი არა ჰყოლია, თვითონ თავის თავად უსწავლია და მაინც შესანიშნავს პოპურებსა სთხზავს და რუსულს ტრუპაშიც მოქმედობს, მაშინ იგი ზემოთ აღნიშნულს მომავალს ბალანჩივაძისას გაზვიადებულად არ ჩასთვლის. ჩვენდა სასიხარულოდ, ბ ნ ბალანჩივაძეს სწორედ ესმის თავისი მდგომარეობა და ემზადება წავიდეს რუსეთში და კონსერვატორიაში დაასრულოს თავისი სამუსიკო განათლება იმ განზრახვით, რომ თავისი სიცოცხლე და ცოდნა მოანდომოს ქართულის, ეროვნულის მუსიკის აღდგენას, აღორძინებასა და განვითარებასა... ღმერთმა გაუმარჯოს!

პოპურის მოჰყვა ბ-ნ აღნიაშვილის ხოროს სიმღერა მოვიხმარ ამ შემთხვევას და ვსტყვი, რომ მე სრულიად არ ვეთანხმები იმ მსჯელობას, რომელიც ამას წინად წარმოსთქვა „ივერიაში" „მოკეთემ" შესახებ ამ ხოროსი. ეს მსჯელობა მე მიმაჩნია ყოვლად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ. აღნიაშვილმა თავის ხოროს დაარსებით გამოიჩინა იშვიათი უნარი და თაოსნობა უწინაც გაუმართავთ ქართული ხორო სიმღერის მცოდნეთა (მაგალითად, ბ-ნ ბერიძეს და ბ-ნ ბალანჩივაძეს), მაგრამ არც ერთს ამ ხოროს იმისი მეათედი მნიშვნელობაც არ ჰქონიათ, რაც დღეს აღნიაშვილის ხოროს აქვს. „მოკეთე" ამბობს, რომ ხორო თავდაპირველად უფრო უკეთ მღეროდა და ახლა-კი უკან-უკან მიდისო. ეს ჩვენ ასე გვეჩვენება, რადგანაც წინად ამ ხოროს სიმღერა ახალი ხილი იყო, უფრო ტკბილად გვეჩვენებოდა, ახლა-კი დაძველდა და სუბექტურმა სიტკბოებამ იკლო. თორემ ხორომ ახლა ერთი სამად მომეტებული ხმები იცის და თუ უკეთესად არა, უარესად არა მღერის წინანდელზედ. მაგალითად, იმ კონცერტზედ, რომელიც ისეთი გულიანად გაჰკიცხა „მოკეთემ", პირველს განყოფილებაში ხორომ ისე მკვირცხლად, ისე ლაზათიანად, ისე შესაბამად იმღერა, რომ უწინ ასე არას დროს არ უმღერია. სიმღერის მცოდნე კაცები აღვიარებდნენ ამასა და უმატებდნენ: ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. ამას ამბობდნენ ქართველს ლოტბარზედ, ბ-ნ ბერიძეზედ, რომელსაც შეუძლიან ამ ხოროს საქმე ბევრით წინ წააყენოს, თუ ერთგულად და მხნედ მოეკიდება მას. მეორე საყვედური „მოკეთესი" ის იყო, რომ აღნიაშვილმა მთელი თავისი ძალა ხოროს არ მოახმარა და რაღაც ფეერიებს გამოუდგაო. ეს გაუგებრობის ნაყოფია. ხოროს შენახვა უნდოდა, ხარჯი ეჭირვებოდა და რადგანაც თვითონ კანცერტები არ აძლევდნენ საკმარისს შემოსავალსა, ამიტომ აღნიაშვილმა მიმართა ფეერიებსა, ფორკატის მიბაძვითა, რომ მათის შუამავლობით ნივთიური ღონისძიება მოეპოვებინა ხოროს არსებობისათვის. განა ეს გზის გადახვევაა? რაც შეეხება კერძოდ იმას, თუ როგორ იმღერა იმ საღამოს ხორომ, ჩვენ უნდა შევნიშნოთ ერთი დიდ დიდი ნაკლულევანება, სახელდობრ დუნეთ, ნელ-ნელა ტაატით სიმღერა ზოგიერთ ხმებისა, მეტადრე ცხოველის სურათების დადგმის დროსა. გარ-

ლის ხუთს საათზე, მიწის ძვრა ყოფი-ლა.

*** მეხუთე განყოფილებაში, შუა ბაზარში, 3-ს ამ თვისას, შეუპყრიათ სპარსეთის ქვეშევრდომი აბდულა-აბას-ოღლი. აბდულას უპოვეს რევოლვერი, რომელიც მოპარულია აკოფოვის მაღაზიიდგან, მიხეილის ხიდზე.

*** 31-ს მარტისას, მერვე განყოფილებაში, ვერის მხრის მცხოვრების გრიგოლ ჩიტაევის სადგომიდგან ჩიტაევისვე ამხანაგს ილია ნატროევს, სიღნაღის მაზრის მცხოვრებს, მოუპარავს ხანჯალი და დანა—71 მანეთისა. ნატროევი შეუპყრიათ და მოპარული ნივთებიც უპოვნიათ.

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების ანგარიში (15 ენკენისთვე 1888 წ.—1 აპრილი 1889 წლ.), წაკითხული და დამტკიცებული საზოგადოების საგანგებო კრებაზე, 2 აპრილს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობა წარსულს სეზონს (1888—89 წ.) ადგა იმავ გზას, როგორც ორს წინა წელს. ენკენისთვის ნახევრიდამ დაწყებული ხუთის თთვის განმავლობაში ჰყავდა შეკრებილი დრამატიული დასი და ჰმართავდა წარმოდგენებს ბანკის თეატრში თთვეში ოთხჯერ, ან ხუთჯერ. სულ წარმოდგენა, სეზონის განმავლობაში, მოხდა 22 (ხუთს თთვეში).

წარმოდგენის შემოსავალი ამ წელს თითქმის ორჯელ ნაკლები იყო შარშანდელზე (შარშან ყოველი წარმოდგენა იძლეოდა 302 მან. 42 კაპ., ამ წელს—182 მან. 91 კ.) და თითქმის იმდენივე იყო, როგორც შარშანწინ, როცა მმართველობა არწრუნისეულს პატარა თეატრში ჰმართავდა წარმოდგენებს (მაშინ ყოველ საღამოს ორთა შუა რიცხვით შემოსავალი იყო 181 მ. 26 კ.). ამის გამო მმართველობას სეზონის განმავლობაში დაედო ვალი, რომლის ზომა ქვემოდ არის მოყვანილი.

ასეთი არა-სანუგეშო გარემოება, შემოსავლის სიმცირე, წარმოსდგა, მმართველობის აზრით, იმის გამო, რომ ბანკის ახალი თეატრი არ იყო საკმაოდ თბილი და ხშირად სინათლეც აკლდა. ამაში დაგვარწმუნა საზოგადოების არა-ერთხელ გამოცხადებულმა სურვილმა, რომ რაც შეიძლება ჩქარა გასწორებულ იქმნასო ეს ნაკლულევანება. მაგრამ ამის ასრულება მმართველობის ხელთ არ იყო და საქმე ბოლომდე გვაზარალებდა. სხვაფრივ-კი საქმის მიმდინარეობა ამ სეზონში ისეთივე იყო, როგორც წინა წლებში: რეპერტუარი განახლდა იმის დაგვარად, რა მოთამაშენიც იყვნენ დასში და რა ლიტერატურული ძალაც ჰქონდა ხელთ მმართველობას, და დასიც შედგენილი იყო ადრინდელ მოთამაშეთაგან.

სეზონის განმავლობაში იყო ნათამაშევი 33 პიესა, რომელთაგან 12 ახალი (ა. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“, თ. აკ. წერეთლის კომედია „ახალი გმირი“, დავ. სოსლანის „ახალის დროების გმირი“, დავ. ერისთავისაგან გადმოკეთებული რუსულიდამ დრამა „მეორედ გაყმაწვილება“, ან. თუმანიშვილისაგან გადმოკეთებული კომედია ლაბიშისა „ჯერ თავო და თავო!“ რუსულიდამ გადმოკეთებული კომედიები: „ისპანიელი აზნაური“, „ალიაქოთი კეთილშობილს სახლობაში“ და „ქმრების დამონავება“ და ვოდევილები: „კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია“, „სიძე-სიმამრი“, „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“ და „ახირებულია“). ამას გარდა 12 ისეთი პიესა იყო წარმოდგენილი, რომელნიც წინა წელს არ იყვნენ ნათამაშევნი («სკაპენის ცუღლუტობა» მოლიერისა, «დაიდარაბა» მელიაკისა, გოგოლის «რევიზორი», სარდუს «უნდა გავიყარნეთ!» და სხვ.) და მხოლოდ 9 პიესა იყო აღებული შარშანდელ რეპერტუარიდამ (მაგალითად, «თამარ-ცბიერი», «პარიჟელი ბიჭი», «ხათაბალა», «ხანუმა» და სხვ.)

დასი შედგენილი იყო შემდეგ პირთაგან: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი კ. ყიფიანი, აბაშიძე, აწყურელი, გამყრელიძე და მაქსიმიძე. ამათ გარდა წარმოდგენებში ხშირად მონაწილეობას მიიღებდნენ: ქ-ნი ავალოვისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქოვისა; ბ-ნნი გუნია, ი. ცაგარელი და სხვ. თუ ამ დასში ერთი ან ორი ნიჭიერი მოთამაშე აკლდა, ესეც უნდა მივილოთ მხედველობაში, რომ ამის დაუხედავად ქართული დასი არას დროს მეტის სივრცით არა ყოფილა შედგენილი, ვიდრე ამ წელს.

სეზონის ზარალმა მმართველობას დაუშალა სხვა თავისი საქმეები რიგზე მოეყვანა და გაეუკეთესებინა: როგორც ადრე, ისე ეხლა ტანისამოსი იყო ნაყიდი ცოტა, წიგნთ-საცავი შეივსო შარშანდელზე ნაკლებად, ავტორებისათვის დასაჩუქრება იყო ძლიერ მცირე, და სხვ. ამას გარდა, მმართველობას შეძლება არა ჰქონდა ფული დაეხარჯა თავის კანცელიარიულ საქმეებზე და დრამატიული საზოგადოება უნდა ჩაითვალოს ტფილისში ერთად-ერთ მომქმედ საზოგადოებად, რომელიც თავის კანცელარიაზე არაფერს არა ჰხარჯავს და ყველა იმის შრომას თავისს მმართველობას აკისრებს.

შემოსავალი

15 ენკენისთთვე—1 აპრილი

1888—89 წლამდე

შარშანდელ მოსალოდნელ ანგარიშით.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 15 ენკენისთთვეს კასსაში იყო . . . . . . | 162 | 63 |
| ტფილისის საადგილ-მამულო ბანკიდამ, მისგან გადაწყვეტილი წევრების წლიურს კრებაზე 1888 წ. . . . . | 1000 | „ |
| წარმოდგენების შემოსავალი. . . . . . . | 4500 | „ |
| კონცერტისა და ბალის გამართვით . . . . . | 1000 | „ |
| წევრებისაგან და სხვა კაცთაგან შემოწირული. . | 337 | 37 |
| სულ | 7,000 | „ |

ნამდვილად შემოვიდა:

| | |
|---|---|
| 162 | 63 |
| 1000 | „ |
| 4024 | 17 |
| 635 | 74 |
| 143 | „ |
| სულ 5965 | 54 |

ხარჯი იმავ დროს:

საეარაუდო ანგარიშით

| | | |
|---|---|---|
| დასის შენახვა და მოწვეულ კაცთ დაჯილდოვება ხუთის თთვის განმავლობაში . . . . . | 3500 | „ |
| თეატრის ქირა და საღამოს ხარჯი, მიღებული ფორკატისაგან . . . | 3125 | „ |
| ტანისამოსის ქირა, მუსიკა, განცხადებები და სხვა წვრილი ხარჯი წარმოდგენებისა . . . . . | 375 | „ |
| ავტორების დაჯილდოვება | „ | „ |
| ბიბლიოთეკის შევსება. . | „ | „ |
| ვალის პროცენტები . . | „ | „ |
| კეპინოვს აფიშების გაკვრისათვის . . . . | „ | „ |
| გარდერობის შესავსებლად . . . . . . . | „ | „ |
| სულ . . | 7000 | „ |

ნამდვილად დაიხარჯა:

| | |
|---|---|
| 3016 | 33 |
| 2750 | „ |
| 393 | „ |
| 32 | 50 |
| 39 | 15 |
| 25 | 86 |
| 36 | 50 |
| 14 | 40 |
| სულ 6307 | 74 |

ამ გვარად, ამ სეზონის ზარალს შეადგენს 342 მან. 20 კაპ. თუმცა ამ ჟამად კასსაში არის 17 მან. 59 კაპ., მაგრამ ამის შესაფერად ნამდვილი ვალიც მეტია ზემო ნაჩვენებ დეფიციტზე.

მმართველობის თავმჯდომარე გ. თუმანიშვილი.

წევრნი: { გ. სულხანიშვილი, თ. ი. ანდრონიკაშვილი, თ. დ. ერისთავი, თ. გ. თუმანიშვილი

## საისტორიო-და-ბიბლიოგრაფიული წერილი

### ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ ჯვარის მონასტერში

(დასასრული*)

7 კლემაქსი ხუცურად ნაწერი სქელს ქაღალდზედ. ამის თავს სწერია: ღმერთო სამებით დიდებულო შეიწყალე საწყალობელი ბერი ბესარიონ მაღრაძე ქიოტიშვილი ქრისტეს ჩყიდ.

რომელნიც მიემთხვიენეთ სულთა განმანათლებელსა წიგნსა ამას ცოდვილსა ჯვარის მამას ანტონიოსს დიასამიძეს შენდობით მოიხსენებდეთ. ჩღჲდ. ოკტომ. დ

მეორედ ღირს ვიქმენ თაყვანის-ცემად წმიდათა ამათ ადგილთა. ჩღოჲ ოკტომბრის კვ. უღირსი ანტონი.

ღმერთო შეიწყალე მეფე გიორგი და ამ წიგნის შემკმაზავი ჩოლაყაშვილი ბეენია და მოძღვარი სულისა ჩემისა ნაომ ქორონიკონს. სგ. 203—1515 თებერვლის იბ.

ღმერთო შემიწყალე მეფე პატრონი ლუარსაბ [9]) და დედოფალი თამარ ძენი მათნი მეფე სვიმონ [10]) და დაჲით ციციშვილი მროველ ყოფილი შიო.

8 დიდი მეტაპრასი ეტრატზედ ნაწერი ამაში ცხოვრება გრიგორი არხიმანდრიტის ხანძთელისა და შატბერდისა აღმაშენებელისა და მისთანათა ნეტართათა. ამის ბოლოს სწერია: გარდაიცვალა ნეტარი მამა ჩვენი გრიგორი 102 წელსა ცხოვრებისა მისისასა ქორონიკონს 81. [11]) ხოლო ცხოვრება ესე მისი დაიწერა შემდგომად გარდაცვალებისა მისისა 90 წელსა. დასაბამიდგან 6551: იერუსალიმს პატრიარქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოსობასა მიქაელისსა: ქართველთა ზედა მთაერობასა აშოთ კუ-

*) იხ. „ივერია“ №№ 70 და 72.

[9]) 1534 წლამდის და შემდეგ მეფედ 1534—1558 წ.

[10]) 1558—1600 წ.

[11]) 861.

და მელონხოლიურ, მოწყენილ ხმებისა, ქართული სიმღერა არის ცოცხალი, მკვირცხლი, გამომაფხიზლებელი და ხალისის მამგვრელი. როცა მას ამ თვისებას აშორებენ, ის სახავს გულში უსიამოვნო ჩაბეჭდილებასა, გამაბეზრებელს მდგომარეობაში აგდებს ადამიანის ნერვებსა, და ამიტომ ქართულის ხმების მომღერალი ჭირივით უნდა ერიდოს ამ ნაკლსა ბ-ნ ბერიძეს ადვილად შეუძლიან ეს ნაკლი თავიდგან აიცილოს ხოროსა, რადგანაც ის უწინ იყო ცოცხალი, მარდი მომღერალი და მარჯვედ მართავდა თავის ქართულს ხოროს წინა წლებში, რომელიც, სხვათა შორის, მშვენივრად ამბობდა ხოლმე „კურდღელი ჩამოცანცალდა“ ასე რომ რუსულის თეატრის საზოგადოებაც-კი რამდენჯერმე ამეორებინებდა.

ხოროს სიმღერას მოჰყვა ლექსის წაკითხვა თ. ნ. ერისთავის მიერ. საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება მას, რადგანაც ცნობილია, როგორც ფრიად რიგიანი მკითხველი. მოსაწონის კითხვისათვის ამ ახალგაზდას შესწევს ხმაც, კილოც, მიხვრა-მოხვრაც და პირის სახის მოძრაობაც; ამიტომ მისი გამოსვლა სცენაზედ ყოველთვის სასიამოვნოა. როგორც ერთი ადგილი „დიმიტრი თავდადებულიდგან“, ისე ორი-სამი სხვა ლექსი, თანახმად საზოგადოების მოთხოვნილებისა, მან წაიკითხა გრძნობით, მეტყველად და ნამდვილი სიამოვნება აჩვენა საზოგადოებასა. აქ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: თავ. ერისთავი შორიდგან ჩამოვიდა ტფილისში საგანგებოთ ამ საღამოზედ დასასწრებად და იმისთანა დროსა და ჟამსა, როდესაც შინაური გარემოება მას ხელ-ფეხს უკრავდა საღმე წასულიყო. მაგრამ სჩანს მას სიტყვის მიცემა ხუმრობად არ მიაჩნია და საზოგადო საქმეს თავისს საკუთარს საქმეთა შორის სთვლის. ამ მაგალითს რომ დააკვირდნენ ზოგიერთი ქართველი პრანჭიები, კარგს იქმნენ ძალიან.

ბატონის ვოლსკის ხმა ვერ გასწვდა დიდს ზალას, სიტყვები ნახევრობით არ ისმოდა და ამიტომ იმისმა აზრიანმა, კილოიანმა და ჭკვიანურმა კითხვამ შესაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა საზოგადოებაზედ...

თ. ვ. მაჩაბელმა წაიკითხა ორი ლექსი: „ჩემს მერანს“ და „ვპოვე ტაძარი“. პირველის ლექსის ხელოვნური კითხვა არა ერთხელ გაუგონია ქართველს საზოგადოებას და ამიტომ ძლიერ ძნელი იყო მკითხველისაგან სრულიად დაეკმაყოფილებინა საზოგადოების მოთხოვნილება. მეორე ლექსის წაკითხვა-კი სწორედ სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელებზედ, ორგან-სამგან რომ არ წაეფორხილნა და იძულებულ არ გამხდარიყო მიემართნა წიგნისათვის.

ვოდევილი „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“, რომელიც იმ საღამოს შეადგენდა მესამე განყოფილებას, სწორედ რომ აზრიანი და საგულისხმიერო პიესაა. როგორც ქალბატონმა საფაროვისამ, ისე ბატონმა აბაშიძემ, პიესა ითამაშეს ჩვეულებრივის ღირსებითა. მაგრამ, უნდა გავტყდეთ, რომ ეს ჩვეულებრივი ღირსება თამაშობისა არ შეესაბამება ჩვენის პირველის ხარისხის არტისტების ნიჭსა. როცა-კი გვინახავს იგინი ამ პიესაში, ყოველთვის მეტ-ნაკლებობით უკმაყოფილონი დავრჩენილიყავთ. რას უნდა მივაწეროთ ესა, არ ვიცით. ისკი აშკარაა, რომ პიესის უკანონო და უმარილო ენა ბევრით ხელს უშლის არტისტებსა. თვითონ სათაური „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“ არ ჰხატავს ჭეშმარიტს აზრს პიესისა. შიგ პიესაში ხომ ხშირად შევვხდებათ ამ გვარი ფრაზები: „ეს საქმე განზედ გადავდოთ“, „მე სულ ამ მდგომარეობაში ვარ“, ნაცვლად „ვაი-ვაგლახში ვარ“, და სხვანი.. მარილიანი, მოსწრებული და აზრ-გრძნობაზედ გამოჭრილი ენა ისე არა ნაწარმოებისათვის არ არის საჭირო, როგორც პიესებისათვის. ამ ღირსებით ჩვენს რეპერტუარში შემკობილნი არიან მხოლოდ ბ-ნ ავქსენტი ცაგარლის ნაწერები და კიდევ ორიოდ-სამისა. დრამატიულის საზოგადოების მმართველობის უპირველესი ვალია ათხოვოს ყურადღება ამ გარემოებასა და ქართულის ენის მცოდნე პირების დახმარებით გაასწოროს ენა ყველა პიესებისა, რომელნიც-კი მდარე ენით არიან დაწერილნი, ან გადმოთარგმნილნი.

თავ. გ. მაჩაბელის სიმღერა საზოგადოდ მსმენელთ მოეწონათ. მას აქვს მომცრო, მაგრამ ნაზი, ფაფუკი, ტკბილი ხმა და სიმღერის ოსტატობის ცოდნაც შესწევს. მისი სიმღერა საზოგადოებას უფრო მეტს სიამოვნებას აჩვენებდა, თუ რომ ავადმყოფობით მოსუსტებული არა ყოფილიყო და არ შემკრთალიყო. ეს შეკრთომა ადვილი ასახსნელია, თუ რომ მოვიგონებთ, რომ თ. მაჩაბელი საზოგადოების წინაშე პირველად გამოვიდა და პირველს გამოსვლაზედ თვით უმაგრესი ნერვების პატრონებიც კი შეკრთებიან ხოლმე... ამ შეკრთომის ასაცილებლად პირველ გამოსვლისათვის დუეტს აირჩევენ ხოლმე და შემდეგ სოლოს უფრო თამამად ამბობენ. ასე მოიქცა, ამ დღეებში, მაგალითად, ახალი მომღერალი-ქალი დიდებულიძისა ტფილისის საკრებულო კონცერტში. პირველს განყოფილებაში დუეტი იმღერა და მეორეში თამამად შეასრულა სოლო. როგორც ვიცით, თ. მაჩაბელსაც ასე სურდა, მაგრამ თანამომღერლის შოვნა ვერ მოახერხდა...

მესამე განყოფილებაში მონოლოგი ცქრიალა, ოცნებიანის მოზარდის ქალისა ისეთ არტისტულის ღირსებით შეასრულა ქალბატონმა საფაროვისამ, რომ ნამდვილს აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება...

გამოვიდა ბ-ნი კოტე მესხი. ცუდს მდგომარეობაშია თეატრი, როცა ხამი ვინმე გამოდის სცენაზედ. მას ფერი მისდის, ეშინიან, არ შევრცხვეო. საზოგადოებასაც ეშინიან, არ შერცხვესო. აქეთაც შიში ჰსუფევს, იქითაც. ვერაფერი მდგომარეობაა, თქვენმა მზემ. სამაგიეროდ, როცა ნიჭიერი, გამოცდილი არტისტი გამოდის, ორივე მხარე იმედით არის მოცული. არტისტს იმედი აქვს, რომ ერთხელ კიდევ ისახელებს თავს და საზოგადოებას დაატკბობს, საზოგადოებასაც მტკიცედ სწამს, რომ არტისტი თავისს როლს ხელოვნურად შეასრუ-

რაპალატისასა [12]) ძისა ადარნასე ქართველთა მეფისასა: აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა ძისა კოსტანტი მეფისასა [13]); ერისთაობასა სუმბატისა ძისა ადარნასე მეფისასა [14]) მაგისტრობასა ადარნასეს ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა [15]): ერისთობასა სუმბათისს ძისა დავით მომფალისასა [16]).

ხოლო ჟამსავე მას იყო ანჩას ეფისკოპოსი მაკარი და ნეტარისა მამისა გრიგორის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი ნათესავით აზნაურთაშვილნი. ხანძოეთს მამა თეოდორე დისწული ცხვედასი და შატბერთს მამა გრიგორი ძე ლიპარიტისი მოსახელე დიდისა მის ღირსისა. ხოლო ხანძოეთის წინამძღვრისა და იოანე ძისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა *) სამთავე ამათ იგულსმოდგინეს და აღწერეს ცხოვრება ესე ნეტარისა მის.

ხანწოეთს მკვიდრი მამა გაბრიელ მოძღვარი გვითხრობდა მამისა ბასილისთვის ვითარმედ მრავალთა წელთა მამასახლისობისა მისისასა ტრაპეზისაგან კიდე საზრდელსა არა მიიღებდა. და ჟამსა სნეულებისასა, უწინარეს გარდაცვალებისა მრქვა: საოსტიგანოთ ცხელი საჭმელი კორკოტი მომართვიდა მაშინ არა ეგბო, სხვა შევაგე და მოვართვი რამეთუ მრავალთა დღეთა არა რის გემო ეხილვა და ვითარსცნა ვითარმედ მას დღესა საეროდ იგი საჭმელი არა ყოფილარს, მრქვა მე. რად ჰსცეთ და მეცა მაცდუნებ. სიჭაბუკესა ჩემსა მამას გრიგოლის ჰქონდა რა მადლი წინასწარმეტყველებისა, მიბრძანა, ბასილო, შენ ხანძოეთს მამასახლისათ დასდგები და რაც იყოს ხორცთა სალვაწისი ტრაპეზსა მას დასჯერდი და ხორცთა შვებად იგი გეკმარების და მე კანონი ესე მამისა ჩემისა აქამომდე აღმისრულებიეს და შენ სიკვდილისა ჟამსა ურჩებისა პატიჟსა შთამაგდებდი. ხოლო მე ფრიად შევუვრდი მამასა ბასილს და მივიღე მისგან შენდობა და კურთხევა.

12) 786—826.
13) † 855.
14) 923—958.
15) † 945.
16) 958—994.
*) თუ მერჩულისა —მეგრელთ გვარი ილორეში.

9. იოვანეს სახარების თარგმანი ხუცურად ნაწერი სქელს ქაღალდზედ. ამას თავს სწერია: ღმერთო ადიდე სულითა პატრონი ათაბაგი ქაიხოსრო[17]) რამეთუ ფრიად მოსურნე იყო მცნებათა შენთა აღსრულებისა.

და პატრონი მზეჭაბუკ[18]) მშვიდობით დაიცევ და გაუსარჯვე. რამეთუ ფრიად მოსურნე არს წმინდის ამის ადგილისა და მეცა ცოდვილი მონა მათი ამბროსი შეიწყალე.—ბოლოს სწერია: ლოცვა ჰყავთ ღირსისა მამისა ჩვენისა ევთიმესთვის მთაწმინდელისა. რომელმან სთარგმნა წმინდა ესე წიგნი ბერძულისაგან ქართულად ბრძანებითა ღვთის მსახურისა მეფისა დავით კურა პალატისათა[19]) და მის მიერვე მოიწია საქართველოდ.

10. მეტაფრასი რომლისა ზანდუკი არს
შემოსვლისათვის მარხვათასა თქმული ანასტასი მონაზონისა. ცხოვრება შიშველ მართალთა და წმინდისა მამისა ზოსიმესი ქება-ქებათა იამბიკონად თქმული. ეს წიგნი არს თორმეტ ნაწილად. შეიკაზმა წიგნი ესე ქორონიკონს. სნჱ 258—1586.

11. სამოციქულოს თარგმანი სქელს ქაღალდზედ. ამის თავს სწერია: ეს წიგნი ჯვარის პატრონისა და მეფისა სალოცავად მისმან მოძღვარმან ილარიონ დავიხსენ სპარსთაგან მას ჟამსა ოდეს ჯვარი დაიჭირეს მათ. კიდევ სწერია: ჯვარის მონასტრის ტრაპეზისა და იოანე მახარებელის ეკკლესიისა მეორედ აღმაშენებელსა ამაღლებელს კუმურდოელსა სერაპიონს შეუნდოს ღმერთმან. ამის ბოლოს სწერია: ითარგმნა ბერძნულისაგან ქართულად ღირსისა ეფრემ კარიჭის ძისა მიერ წიგნისა ამის დამთავებელი მიტროპოლიტი შემოქმგდელი იაკობ მოიხსენე კვალად სულითა გლახაკი ნიკოლოზ მევაშეილი წიგნისა ამის შემკაზმავი ბეენა ჩოლოყაშეილი, შესანდობელად მეფეთ მეფისა გიორგისა[20]) და მისა მათისა ლეონისა[21]).

17) 1500—1502.
18) 1502—1516.
19) † 1001.

15 (12) მამა ცხოვრება სქელს ქაღალდზედ დაწერილი. ამის ბოლოს სწერია: პაპა მარკოზ მოგვიცემია ჩვენ ჯვარელთა მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის 3300 მარჩილი წელსა 1619 აპრილის 21 ოდეს სარდალმან მოურავი მოკლა და ქართველი

16 (13) სვინაქსარი ეტრატზედ, რომლისაც ბოლოს სწერია: ჯვარის მამამან ნიკიფორე კახმან, მანგლელმან თეოდორე მღვდელ მონაზონმან მარკოზ დიაკონმან ევსევი და პავლე იკონომოსმან ილია დავახატვინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები და სახლები და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქლეთ ოდეს მისჭირებოდა მონასტერსა. სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს. [22]) კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს, [23]) მასჟამსა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა და მიიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან დარეჯან თანამეცხედრე ხემწიფის დადიანის ლეონისა, რომელმაცა წარაგო მისთვის ყოველივე სავსება თვალი, ვეცხლი და ოქრო წმიდათა ადგილთა ხელთა სინასა, მთა წმინდას და იეროსალიმს და მე ჯერჩინებითა მის ხემწიფისათა ესრეთ შევამკევ რომელ სრულიად საბერძნეთა და არაბისტანი გაკვირდა, კვალად ხელმწიფეთა ვახტანგ და ბაგრატ და დავით დავითიანთა რომელთა აღაშენეს წმინდა ესე მონასტერი გაუჩინე აღაპი ყოვლად წმიდისა მიცვალებასა დაიწერა ქორონიკონს 341. შემდეგ მეორე ფურცელზედ სწერია: ჯვარის მონასტრისა მეორედ აღმაშენებელისა მეფისა დიდისა გიორგისათვის [24]) გავაჩინეთ მათდა სამლოცველად აღაპი კურთხეულმცა არის სული მამისა პროხორესი რომელმან აღაშენა მონასტერი ესე სამლოცველოდ მეფეთა ბაგრატიონთა.

ა. ქუთათელაძე

20) † 855.
21) † 957.
22) ბექას დროს 1624 წ.
23) 1617.
24) (?)

# უცხოეთი

საფრანგეთი ევროპაში ამ ჟამად სრული მდუმარება ჩამოვარდა: არსაიდამ არა ისმის-რა საყურადღებო, ყველგან მიჩუმდნენ, მიწყნარდნენ, მხოლოდ ერთი საფრანგეთია მოუსვენრობაში. არ იქნა და არ ეშველა ამ ქვეყანას: არ მოასვენა ბედმა ეს მღელვარე ერი, ხან შინაური მტერი აუჩინა, ხან გარეული, და ისიც უზარმაზარის ზღვასავით მუდამ ჰღელავს, რაც უნდა მყუდროება ჰსუფევდეს გარშემო, რაც უნდა სიოც არ იძროდეს ჰაერში. აი დღესაც, რა დროს ღელვა და შფოთია, რა დროს აყალმაყალია, როცა ასობითა და ათასობით მილიონები დაჰხარჯა ერმა მსოფლიო გამოფენის მოსამზადებლად, როცა მთელის კაცობრიობის გაკვირვებასა ჰლამის თავის წარმატების ნაყოფით? მაგრამ სად არის, საფრანგეთი დღესაც ჰშფოთავს და ჰბორგავს, საფრანგეთს დღესაც ათასი თავში საცემი საქმე აქვს. გერმანია მიწყნარებულია და უმნიშვნელო კანონ-პროექტს არჩევს ბისმარკისაგან შეთხზულსა და ვითომ სოციალურსა, ინგლისი ჯონ-ბრაიტის სიკვდილის გამო ქებასა და დიდებას ლაპარაკობს ამ სახელმწიფო კაცისას, იტალია ევროპას ლამის სულ მოშორდეს და აბაშეთში იწვდენს ხელს, იქ თუ გაებდები რასმე, თორემ ევროპაში მე არავინ არას დამანებებსო. ავსტრი-ვენგრია დამშვიდდა. ბოლგარიაც თავისთვის მიჯდა კუთხეში. სერბიაში მილანის ინცინდენტსაც ბოლო მოეღო. მარტო საფრანგეთში შეიქმნა ბულანჟეობა ერთ დაუსრულებელ საქმედ. ბულანჟე, ბულანჟეობა, ეროვნული დასი, პატიოსანთა რესპუბლიკა—აი ეს სიტყვები ისმის უკვე ამ ორ-სამს წელიწადში, ისმის გამუდმებით, ხან-დაუზმელად, ყველგან და ყველასაგან. ეხლაც იმაზეა გაუთავებელი გაგანი და ჟრიამული, რომ პალატამ ნება მოგვცეს, დევნა დაეუწყოთ კანონით ბულანჟესაო. ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ყველაზედ უკეთესი ის იქნება, მიანებონ თავი ლტოლვილსა და ოტებულს გენერალს. მისი ვარსკვლავი სწორედ ეხლა დაბნელდა, მისი სიყმე გაშავდა, მისი მომხრენი სირცხვილით იწვიან იმის უგვანის საქციელის გამო და აღარ იციან, რა ქნან: ჯავრით ლამის დაიხოცნენ. რაღა გინდათ, ვინც იმისი მარჯვენა ხელი იყო, იმათაც-კი თავი დაუკრეს თავისს სათაყვანებელს გენერალს, გამოვიდნენ საეროვნო კომიტეტიდამ, უარ-ჰყვეს თავისი და საფრანგეთის მხსნელი და ლამის ჯვარს აცვანო. ახლა ის-ღა დაგრჩენიათ გაჩუმდეთ, ჩააფუჩჩოთ ბულანჟეს საქმე, დაე ბრძანდებოდეს ბელგიაში და უცადოს იქ თავისს ნაციონალურს რესპუბლიკას. ორის ხელით-კი არ მიართვანო. მაგრამ მთავრობას თავი ვეღარ შეუკავებია, სთხოვს ახალს გენერალ-პროკურორს, მოსძებნე ის კანონები, რა კანონების ძალითაც უნდა ვსდევნოთ ბულანჟე და მისი მომხრენიო, რომ საქმე ბარემ ბოლომდე მივიყვანოთო. მთავრობას ჰგონია, რომ გასამართლებით ბულანჟეს სულ მოეღება ბოლოვო, მაგრამ, ვინ იცის, მაგ გასამართლებას ისეთი შედეგი მოჰყვეს, რომელიც სრულიად სასურველი არ არის ქვეყნისათვისაო. ამ მდგომარეობაშია ჯერ-ჯერობით საქმე ბულანჟესი, რომელიც განსვენებით არის ეხლა ბრიუსელში. იქ დიდძალი მომხრენი ახვევიან გარს. 7,000 სადარბაზო ბარათი შეუკვეთინებია და აქედამ ადვილად წარმოსადგენია, რამდენს ხალხს უნდა გაუწიოს სამშობლოდამ ლტოლვილმა გენერალმა სამაგიერო დარბაზობა. ამ დღეებში საფრანგეთიდამ მოსულთ და ბელგიაში მყოფ ქალებსაც-კი მიუგზავნიათ

---

ლებს, აჩვენებს მას სიამოვნებას და თითონაც დაჯილდოებული დაბრუნდება იმედი აქეთ, იმედი იქით. სასიამოვნოა.. სწორედ ამ გვარი სასიამოვნო მდგომარეობა დაჰბადა ბ ნ კოტე მესხის გამოსვლამ. იგი გამოვიდა თქარა-თქურით, თამამად, მოქნილის ხელის რხევით და მხიარული, იმედიანის სახით, ლაზათიანად გაჩერდა სცენის წინ. სწორედ ამ გვარადვე გამოდიოდა ხოლმე ფალავანი გლდანელიც, ვიდრე მას ესებუა დავთრებს არ აურევდა, არ აუფუჩნიდა. გაისმა გულიანი ტაშის კვრა და მოჰყვა მას სცენა „რკინის გზა“. მთელი ეს რთული სცენა მთქმელმა ჩაატარა ისე, როგორც შეჰფერის ცოცხალს იმერელს არტისტს. კომიზმი და მახვილობა, ხელი-ხელ გადაბმული, აწარმოებენ ამ სცენასა და ჰხდიან მას საუკეთესო რამდე თეატრში წარმოსათქმელად. მხოლოდ ერთს ადგილას თითქო უკადრისობა ისმის და ეს სიამოვნებას სწყვეტავს, ასუსტებს. ეს ის ადგილია, სადაც მთქმელისაგან ისმის: დავმუტრუკდი მთლად და ვსთქვი: ქართლში თუ ლა გამოვდგები-თქო, და მოვკურცხლე იქითკენ. ჩვენის აზრით, ბევრად უკეთესიც იქნება და ჭეშმარიტებასთანაც ახლო, თუ ეს ადგილი ასე შეიცვლება: დავმუტრუკდი და განათლებულებთან მივყევ ხელი ბანქოსა; ვთამაშობდი დილით, შუადღისას, საღამოთი, შუაღამისას, დღისით და ღამით. ვიფიქრე: მოვშორდე ამ ცოცხალს იმერლებს, თორემ მთლად გავფარფშუტდები; წაველ მძინარა ქართლში და საქმიანობას შევეჩვევი; და მოვკურცხლე იქით... საზოგადოებამ სრულიადაც ანგარიშში არ ჩაუგდო ეს დისონანსი, უხვად დააჯილდოვა არტისტი და სამჯერ-ოთხჯერ ათქმევინა ახალ-ახალი სცენები ორივე განყოფილებაში...

საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზედ მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდგან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტირალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოჰგვაროს მსმენელს,—მხოლოდ ამ შედეგით ცხადად ჰყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები დააბნევინა ვისმე. მართალია, სრული მართალი, რომ თეატრში დატრიალდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფერა, მაგრამ ეს ნახევარ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. რად მოხდა ესა? რატომ ცოტაოდენი ცრემლი მაინც არ დაიფქვა? იქნება კითხვის ნაკლის ბრალი იყო? არა გვგონია, მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიცს მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროთ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევ დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა კაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობასა, რომელსაც-კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა. მაშ რატომ არ გამოიწვია მსმენელებში მისმა კითხვამ შესაბამი ძალის გრძნობა? იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა ზეპირად ამბობდა. როდესაც მკითხველმა ზეპირად არ იცის წასაკითხი, წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვევით, იტაკისაკენ, და იქიდგან უკუქცეული იფანტება თეატრში. ხმას ეკარგება სიმკვირცხლე, გამომეტყველება, სიმკაფე და შთაბეჭდილება ერთიორად და სამად სუსტდება. სამაგიეროდ, როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, პირი საზოგადოებისაკენ აქვს მიქცეული და ზეპირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად თავისუფლად მოძრაობს, კაფიოდ გაისმის, პირდაპირ მიდის მსმენელთა ყურებამდის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადავს მათ გულსა და გონებაში... ამ გვარადვე უცვლის სიმღერას ზეპირად მისი თქმა და ნოტებში ცქერა. შეადარეთ ის ჩაბეჭდილება, რომელიც გიორგის სიკვდილმა მოახდინა, იმ ძლიერ ჩასახულებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეპირად წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ. ან წარმოიდგინეთ, რომ ვ. მესხს რკინის გზის სცენა რვეულში წაეკითხნა და არა ზეპირად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხირდებით, თუ გეტყვით, რომ ერთი ხუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილებით. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ გიორგის სიკვდილი მარჯვე არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის. ავტორის ნაწერებში მოიპოვება ბევრი ათჯერ უფრო სცენაზედ ზედ გამოჭრილი ადგილი და რატომ დასდგა ამ არჩევანზედ, არ გვესმის. თუნდა ავილოთ „კაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის სიზმარი. ილიას რომ ზეპირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალ ნიჭიერებით და მახვილობით სავსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაჰბადებდა მასში, ისეთს ძლიერს ტაშის კვრას გამოიწვევდა, რომ, ვგონებ, თეატრი მაღლა აიწევდა.

სამწუხაროდ, ამ საღამოს აკლდნენ ჩვენი მაღალ-ნიჭიერი პოეტი აკაკი და ჩვენი მაღალ ნიჭიერივე არტისტი-ქალი გაბუნია-ცაგარლისა. პირველმა ვერ მიიღო მონაწილეობა შორს ყოფნის გამო და მეორეს დაუშალა უქეიფობამ...

ასეთი იყო ეს საღამო. ახლა მკითხველმა თვითონ გადასჭრას: ნაკლი უფრო ბევრი ჰქონდა ამ პირველს ცდას ქართულის ლიტერატურის და სამუსიკო საღამოსას, თუ ღირსება, პასსივი, თუ აქტივი. ჩვენ-კი ჩვენის მხრივ იმას ვიტყვით, რომ თუ წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობა წესად დასდებს ყოველ წლივ დიდმარხვაში გამართოს მსგავსი საღამო უფრო შეკეთებულის პროგრამით და უფრო შერჩეულ მონაწილე პირებით, ფრიად სასარგებლო საქმეს იზამს.

იაკობ ხვიმონიძე

თავიანთი დელეგაცია და თანაგრძნობა გამოუცხადებიათ დევნულისა და წამებულის გმირისათვის. ქალთა დელეგაციისათვის გენერალს უთქვამს, რომ მე არც ჯარი მყავს, არც მოხელენი, მაგრამ ჩემსკენ არის ერი საფრანგეთისა და აბა ამ მცირე ძალით რას გააწყობს კაციო, ღიმილით დაუმატა თურმე ბოლოს გენერალმა. გენერალს თანა ჰყავს როშფორი და გრაფი დილონიცა, რომელთაც პირველებმა დაუწყეს რწმუნება ბულანჟეს, რომ შენ უნდა იზრუნო შენთვის, ნება არა გაქვს გასწირო თავი, სიცოცხლე, როცა ეგრე ძვირფასი ხარ შენის დასისა და მომხრეთათვისაო. ისკი არა თუ ამ ორს ვაჟბატონს უფრო თავიანთის თავის დარდი ჰქონიათ და, ვიდრე გენერალი გაქცეულა, ისინი უმალ ლტოლვილან.

## წვრილი ამბები

ბულანჟეს გაქცევის თავის მეგობრებით უკვე გამოიყენეს სარეკლამოდ. საფრანგეთის ერთს გაზეთში აი რა არის დაბეჭდილი: „ეხლა-კი ნამდვილად შევიტყეთ ბულანჟეს ბელგიაში გაპარვის მიზეზი. გენერალი თავის მეგობართა გაფრთხილებას არ ისმენდა და გამოაცხადა, რომ ციხისა და იქ ცხოვრებისა სრულიად არ მეშინიანო. ბულანჟეს ერთი და ერთი ჩვეულებადა ჰქონდა დადებული, რომ „ვან-გაუტენის კაკაოსა“ ჰხმარობდა ყოველთვის. უეცრად შეიტყო, რომ ადმინისტრაციამ ფორმალურად აღკრძალა კაკაოს საპატიმროში შეტანაო. შეიტყო თუ არა ეს განკარგულება ბულანჟემ, წინააღმდეგობა ველარ შეიძლო და საფრანგეთიდგან გაპარვა ამჯობინა „ვან-გაუტენის კაკაოს“ თავ-დანებებას. ეხლა გენერალი ბელგიაშია და ჰსიამოვნებს და სტკბება ამ სასმლით“.

— იტალიის ქალაქ ლიუკის ასიზის სასამართლომ ერთი ფრიად გოლიათური საქმე გადასწყვიტა ამას წინად. ამ საქმის გამოსარკვევად ნაფიც მსაჯულთ 1582 საკითხი ეკითხათ თურმე. ამ მძიმე სამუშაოზედ მხოლოდ ის ნაფიცი მსაჯულები დააყენეს, რომელნიც ორმოცს წელიწადს არ იყვნენ გადაცილებულნი. იქვე იყო გამართული მოსამართლეთათვის სამზარეულო და საწოლი ოთახი. მსაჯულთ არსად წასვლის ნება არა ჰქონდათ, ნათესავები შორიდგან უნდა ენახათ და იმათთან ახლო მისვლა არ შეეძლოთ, რადგან მათ შუა რკინის მოაჯარი იყო თურმე.

— ამას წინად ნიუ-იორკს გარდაიცვალა ვიღაც ჰორაციო ანდერდონკი, 3 თუ 4 მილიონი დოლარი სამკვიდრო დასტოვა და ამასთან შემდეგი უცნაურებულესი ანდერძის წერილი, რომლის შესახებაც სასამართლო დიდს გაჭირვებაშია თურმე ჩავარდნილი. აი რას ამბობს ანდერძის წერილი: „თუ ერთ-ერთი ჩემი მემკვიდრეთაგანი ზარმაცობას დაიწყებს, მაგარ სასმელების სმას მიჰყოფს ხელს, თუ 21-დგან 50 წლამდე იქნება და ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათზედ არ წამოიწევს ლოგინიდგან და ამ დროსათვის მზად არ იქნება ჩაცმული და დაბანილი, რომ სამუშაოს მიჰყოს ხელი; თუ თამბაქო იხმარა, რა გვარადაც უნდა იყოს, და ან გვარიანი დღეობაზედ ან სხვა დროს; თუ ცოლი ისე შეირთო, რომ 25 წლისაც არ იყო შესრულებული, სამკვიდრო არ უნდა ერგოსო“.

— ლონდონის სამოქალაქო სასამართლოში ამას წინად ერთი საყურადღებო საქმე ირჩეოდა განქორწინების შესახებ. აი ამ საქმის ზოგიერთი წვლილი: 1865 წ. კაპიტანმა ჩიჩესტერმა შეირთო თურმე ერთი უმაწვილი ქალი. ცოლ-ქმარნი შვიდის წლის განმავლობაში მშვიდობიანად სცხოვრობდნენ, ბოლოს და ბოლოს რაღაც აურზაური ჩამოუვარდათ და განშორდნენ ერთმანეთს. ამ დროს ჩიჩესტერს ერთი ნათესავი გარდაეცვალა და დიდი ქონება და მარკიზის დოხვგელის სახელი დაუტოვა. მარკიზის ცოლმა სასამართლოს მიჰმართა — ქმარს განმაშორეთო. თავისის მხრით მარკიზიც ამასვე სთხოვდა მოსამართლეთ. სასამართლომ განიხილა საქმე და აღმოჩნდა, რომ მარკიზი იყო დამნაშავე, რადგან საყვარლად ჰყოლოდა ვიღაც ლუიზა ბრაიტი, ხოლო მარკიზის ცოლიც ბრალდებული გამოდიოდა, რადგანაც მიჯნურად თავისისავე ქმრის მეჯინიბე ჰყოლიყო. სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ასეთი ცოლ-ქმარნი განქორწინების ღირსნი არ არიან და არც ერთის თხოვნა არ შეიწყნარა.

— ნიუ-იორკის გაზეთები ერთს სასაცილო ამბავს მოგვითხრობენ, რომელიც იქაურს ფოსტაში მომხდარა: დილის ათს საათზე ფოსტაში მიწოდებულ იქმნენ თურმე შესამოწმებლად კანდიდატნი, რომელთაც ფოსტალიონობა უნდოდათ. ამავე დროს მივიდა თურმე იქ ერთი შვედი დაზღვეულ წერილის მისაღებად. ამ შვედს ხელში უწყება ეჭირა თურმე და ფოსტის წესების არა-მცოდნე ერთის განყოფილებიდგან მეორეში გადადიოდა. ბოლოს დიდს დარბაზში შევიდა, ჰნახა თავ-მოყრილი ხალხი, რომელნიც შემოწმებას ელოდნენ. საბრალო შვედს ეგონა თურმე, რომ ესენიც წერილების დარიგებას ელიანო, შერია ხალხი და დაიწყო ლოდინი. გაიარა ორ საათამდე. თითქმის ნახევარი იქ მყოფთა შეამოწმეს. ბოლოს ექიმმა და მოხელემ დაუძახეს თურმე შვედი, გაატიტვლეს, სასწორზე დააყენეს, გასინჯეს და გადასწყვიტეს, რომ ეს კაცი გამოდგება ფოსტალიონის თანამდებობისათვისაო. როცა სახელი ჰკითხეს, შვედმა უწყება გაუწოდა თურმე და ასტყდა დაუსრულებელი ხარხარი. ხარხარს შემდეგ როცა ჰკითხეს, რომ რაზე ახდევინებდი ტანისამოსს და თავს რად ასინჯვინებდიო, შეუშფოთებელმა შვილმა სკანდინავიისამ უპასუხა თურმე: ასე მეგონა, რომ ფოსტის წესი თხოულობდა ჩემს გასინჯვა-გაჩხრეკას, რადგან წერილი ნამდვილის პატრონისათვის გადაეცათო.

# დეპეშა

4 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ დაასაფლავეს გზათა მინისტრი პაუკერი. ანდერძის აგებაზე დაესწრნენ ლოტრანგების ეკკლესიაში დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე უფროსი და ბევრი მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი. სამხედრო პატივი მიაგეს ლეიბ-გვარდიის ბატალიონი და გვარდიის არტილერიის ბატარეა. ნევის პროსპექტზედ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე ცხენით გაჰყვა მიცვალებულის კუბოს. მიწას მიაბარეს მიცვალებული წესისამებრ ლოტრანგთა სმოლენსკის სასაფლაოზე.

პარიჟი. ბულანჟელების გაზეთების სიტყვით, იმ ქაღალდებ შორის, რომელიც მთავრობამ ჩაიგდო ხელში, არის ერთი საყურადღებო ქაღალდიცა. ეს ქაღალდი ამტკიცებს, რომ ხელ-წერილი დაუდვიათ დილონსა და ბულანჟეს ამერიკელებ მაქსსა და ბენეტთან. ხელ-წერილის ძალით, ზემოხსენებულ ამერიკელებს უნდა ეშოვნათ ბულანჟესათვის ის მილიონები, რომელიც საჭირო იქმნებოდა მისთვის, რათა ბატონობა ჩაეგდო ხელში, ხოლო ბულანჟეს, რაკი გაბატონდებოდა, უნდა მიეცა იმ ამერიკელებისათვის განსაკუთრებული უფლება, სატელეგრაფო მავთული ამერიკისა და საფრანგეთის შორის მხოლოდ თქვენ ამუშავეთო. სხვა ქაღალდებიდამ სჩანს, რომ ბულანჟე სცდილობდა აეჯანყებინა ჯარი ერთის კაპიტანის შემწეობით. ეს კაპიტანი სხვა-და-სხვა საიდუმლო მინდობილობას ასრულებდა ბულანჟესას, როცა ბულანჟე სამხედრო მინისტრად ყოფილა. მერე გარეშე საქმეთა სამინისტროს უწყებაში ჩარიცხულა. გაზეთები ამბობენ, რომ ამ კაპიტანს მალე შეიპყრობს მთავრობაო. ბულანჟელების გუშინდელს წვეულებაზედ 800 კაცი ყოფილა დაპატიჟებული ვერსალშიო. წარმოუთქვამთ მრავალი სიტყვა.

პარიჟი. სამინისტრომ უბრძანა პრეფექტებს, რომ ნება არ მისცეთ სამუნიციპალო საბჭოებს მიწერ-მოწერა იქონიონ ამომრჩეველებთანაო.

გუშინ ბულანჟესა, დილონისა და როშფორის სადგომებში შეჰკრეს მათი მოძრავი ქონება.

ოპორტუნისტები ავრცელებენ აზრს, რომ მთავრობამ უნდა მოსპოს განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ბულანჟეს მომხრეთა. პარიჟსა და ბრიუსელ შორისაო.

პეტერბურგის 31 მარტი, ბირჟა,

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| იმპერიის კუპონები . . | 149 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 269¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 242¾ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადად.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
აპრილი 30 დღით არის.

5 დღე ოთხშაბათი. წმ. მარ. ... სომხ. წმ. ... ბის გვარი. მაჰმად. მე-17 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—43. მთვარე 17 დღისაა.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. სერობა. დიდი ხუთშაბათი. წმ. წამებულთა მამათა დავით გარეჯის უდაბნოში 1617 წ. კათოლ. დიდი ხუთშაბათი. სომეხ. წმ. სერობა. მაჰმად. მე-18 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—44. მთვარე 18 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

## წიგნის მაღაზია

კ. ი. ნოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკლესიო და სხვა-მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველნაირი სამწერლო მასალები და ნავთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავა კომისიონერად უქვლა სასულიერო და საეკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში.

(10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |

იაფად გასყიდვა საქონლისა

# მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქერსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელნისონის და ბრინჯაოს ნივთები, ლამპები, ჭურჭელი, სათამაშოები და სხვანი მრავალნი.

(10—9)


Доз. ценз. Тифлисъ 4-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографiя Е. Г. Месхи). въ Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე